

# კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა სასამართლო მედიაციაში

ქეთევან ცინცაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

კურსის ხელმძღვანელი: დიმიტრი ძაგნიძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.<sup>1</sup>

ქეთევან ცინცაძე (10/06/2022)

---

<sup>1</sup> ს. ჯანაშია და სხვები, თამარ, რედ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის ( თბილისი: 2011 წელი), 47.  
<https://drive.google.com/drive/u/2/folders/1V8N3zygp1645nECwMIANSRSWh2kqeSo> (02/05/2022).

## აბსტრაქტი

თანამედროვე საზოგადოებაში ხშირია კონფლიქტები ადამიანებს შორის, რაც ავტომატურად ისახება სასამართლოს გადატვირთულობაზე და შედეგად მიიღება დროში გაწეილი სასამართლო პროცესი და მზარდი მატერიალური ხარჯი. კანონმდებლები ცდილობენ შექმნან ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც შეუწყობს ხელს საზოგადოებას დავები მაქსიმალურად სწრაფად და ხარისხიანად მოგვარდეს. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად მოიაზრება სასამართლო მედიაციაც, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში უკვე კარგად დამკვიდრებული და ფესვგადგმული ინსტიტუტია. საქართველოში კი - ჯერ კიდევ ახალ ინსტიტუტად მიიჩნევა, რომელსაც საზოგადოებისთვის კომპლექსური ხასიათი აქვს, თუმცა ეს ფაქტი არ აკნინებს ამ უკანასკნელის მიმზიდველობას.

მედიაციას გააჩნია ძირითადი სამართლებრივი პრინციპები, რისი დაცვის საშუალებითაც წარმატებით იმართება პროცესი და რომელთა გარკვეული ნაწილი საკმაოდ იზღუდება სასამართლო მედიაციის განმავლობაში. ერთ-ერთ ასეთ პრინციპს წარმოადგენს კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი, რომლის დანიშნულებაა, არ მისცეს საშუალება პროცესის მონაწილე პირებს პროცესის განმავლობაში გამჟღავნებული ინფორმაცია გაუზიარონ სხვებს ან გამოიყენონ სასამართლოში მტკიცებულებად. წინამდებარე ნაშრომი სასამართლო მედიაციის ყველაზე აქტუალურ და პრობლემურ საკითხს, ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის - კონფიდენციალურობის დაცვას ეხება. კვლევა ეხება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ისეთ საკვანძო თემებს, როგორებიცაა: სასამართლო მედიაცია და მისი არსი, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების ადრესატები, მედიაციის პროცესის ძირითადი პრინციპები, კონფიდენციალურობის როგორც პრინციპის, როლი მედიაციის პროცესში და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაშრომში არის მცდელობა იმისა, რომ გამოიკვეთოს ქართულ კანონმდებლობაში მათ შორის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, საქართველოს შრომის კოდექსსა და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზები პროცესის მონაწილეების, მათ შორის, მედიატორის მხრიდანაც კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის საშუალებით აღნიშნული საკითხის რეგულირება შესაძლოა გაუმჯობესდეს.

ნაშრომი დაფუძნებულია ნორმატიულ ბაზასა და შედარებით ანალიზზე. კვლევა ნორმატიული თვალსაზრისით მოიცავს სასამართლო მედიაციისა და კონფიდენციალურობის პრინციპის მარეგულირებელ ნორმებს, შედარებითი ანალიზი კი საშუალებას იძლევა შემუშავდეს რეკომენდაციები სხვა ქვეყნების კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის მიმოხილვის მაგალითზე.

ნაშრომის მიზანია, ერთი მხრივ, გააცნოს მკითხველს სასამართლო მედიაცია, როგორც, საკმაოდ ეფექტური კონფლიქტის მოსაგვარებელი ალტერნატივა. ხოლო, მეორე მხრივ, დაანახოს მკითხველს დღევანდელი ქართულ სამედიაციო რეალობა. მისცეს მკითხველს შესაძლებლობა, იმ რისკების და სირთულეების წარმოდგენის, რაც დღევანდელ დღეს კანონმდებლისთვის გამოწვევას შესაძლოა წარმოადგენდეს. წარმოაჩინოს ის, რაც აკლია არსებულ სამართლებრივ სივრცეში სასამართლო მედიაციასა და კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას და რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მედიაციის უკეთესად მოწესრიგება და პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტი წარმატებით გამოყენება.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** სასამართლო მედიაცია, კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი, მედიაციის ძირითადი პრინციპები, მედიაციის მხარეები, სასამართლო, მედიატორი.

## Abstract

Conflicts between people are frequent in modern society, which automatically affects the overload of the court and results in a protracted trial and increased material costs. Legislators are trying to create legal mechanisms that will help the public to resolve disputes as quickly and efficiently as possible. One of such means is court mediation, which is already a well-established institution in foreign countries. In Georgia, it is still considered as a new institution, which has a complex character for the society, but this fact does not diminish the attractiveness of the latter.

Mediation has basic legal principles, the observance of which successfully governs the process, and some of which are quite limited during court mediation. One of those principles is confidentiality, which is intended to prevent parties involved in the proceedings from sharing information disclosed from others or using it as evidence in court. The present paper deals with the most urgent and problematic issue of court mediation, the protection of one of the fundamental principles - confidentiality. The research addresses key issues related to this issue, such as: court mediation and its essence, addressees of the obligation to protect privacy, basic principles of the mediation process, the role of privacy as a principle in the mediation process and its pros and cons.

The paper attempts to highlight the shortcomings in the Georgian legislation, including the Civil Procedure Code of Georgia, the Labor Code of Georgia and the Law of Georgia on Mediation, regarding the observance of the principle of confidentiality by the participants, including the mediator, and issue relevant recommendations, which may improve the regulation.

The paper is based on a normative base and comparative analysis. The study normatively covers the norms governing the principle of judicial mediation and confidentiality, while the comparative analysis allows to develop recommendations based on the review of legislation or practice of other countries.

The aim of the paper is, on the one hand, to introduce the reader to court mediation as a rather effective alternative to conflict resolution. And, on the other hand, to show the reader the current Georgian mediation reality and give the reader an opportunity to see the risks and difficulties faced by the Georgian legislator today, which court mediation and the principle of confidentiality lack in the existing legal space and recommendations, through which it can be used with much more success in practice.

Keywords: court mediation, principle of confidentiality, basic principles of mediation, mediation parties, court, mediator.